ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის ყველა საკლასო ოთახი(12) , აღჭურვილი სათანადო ინვენტარით, კერძოდ: მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს მორგებული მერხებით, სასკოლო დაფებით მასწავლებლის მაგიდით და სკამით, კარადით. ინვენტარი გათვლილია 120 მოსწავლეზე. სკოლამ წარმოადგინა დოკუმენტაცია, სადაც ის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სთხოვს დამატებით 100 მერხის შეტანას, მისი შუამდგომლობის საფუძველზე თბილისის მე-10 საჯარო სკოლის (რომელიც მიმდინარე სარემონტო სამუშაოებთან დაკავშირებით, გადასულია სსიპ თბილისის 22-ე საჯარო სკოლის შენობაში) ბალანსზე არსებული 100 მერხი უახლოეს დღეებში მიეწოდება სკოლას. სკოლამ დამატებით წარმოადგინა სასკოლო ინვენტარის მიღება-ჩაბარების აქტი. აღნიშნულის გათვალისწინებით, დაწესებულების მიერ 220 მოსწავლეზე მოთხოვნილ კვოტასთან მიმართებით ინვენტარის რაოდენობა თავსებადია.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ინვენტარის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია • ინვენტარის მიღება-ჩაბარების აქტები • დისტანციურად ვიზუალური დათვალიერება
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

გ) სპორტული დარბაზი, აუზი ან მოედანი	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას აქვს გარე სივრცეში მოწყობილი სპორტული მოედანი, ბუნებრივი საფარით , რომლის ზედაპირი უსწორმასწოროა. ასევე შიდა სპორტული დარბაზი, რომელსაც სკოლა იყენებდა ცეკვის და კარატეს წრის ფუნქციონირებისთვის.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ინვენტარის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია • დისტანციურად ვიზუალური დათვალიერება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

დ) სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია/ლაბორატორიები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლაში გამოყოფილია საკლასო ოთახი, რომელიც განკუთვნილია საბუნებისმეტყველო საგნების ლაბორატორიისთვის. საკლასო ოთახი აღჭურვილია მერხებით, სკამებით, ასევე კარადით, რომელიც იკეტება. კარადაში განთავსებულია ქიმიის, ფიზიკის, ბიოლოოგის სწავლებისთვის საჭირო ხელსაწყოები, რეაქტივები-ქიმიის საგანში ცდების ჩატარებისთვის. ინტერვიუირებისას მოსწავლეები ადასტურებდნენ საბუნებისმეტყველო საგნების გაკვეთილებზე ხელსაწყოების გამოყენებას, მოჰყავდათ მაგალითები. ოთახში არ არის სველი წერტილი. დაწესებულებამ წარმოადგინა წერილი, რომლითაც ის მცხეთის მუნიციპალიტეტის საგანმანათლებლო რესურსცენტრს მიმართავს საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის სრული კომპლექტის მოთხოვნის შესახებ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ხელსაწყოების, რეაქტივების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია • დისტანციურად ვიზუალური დათვალიერება
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

2.2 სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო; სკოლაში არის უწყვეტი ელექტროენერგია, სკოლას გააჩნია გენერატორი. არის სასმელი წყალი. შენობა გარე გადახურვით უერთდება სველ წერტილებს, 2 კაბინა გოგონების და 2 ვაჟებისთვის. იგი უზრუნველყოფილია წყლის მუდმივი მიწოდებით, აგრეთვე არსებობს წყლის რეზერვუარიც; თითოეულ საკლასო ოთახს აქვს ბუნებრივი განათება, ყველა სასწავლო ოთახს აქვს ორი ფანჯარა. შენობაში დამონტაჟებულია ცენტრალური გათბობა ბუნებრივ აირზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• დისტანციურად ვიზუალური დათვალიერება • გასაუბრება
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

2.3 სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას ბიბლიოთეკა აღჭურვილია წიგნადი ფონდით, პერიოდიკით და სხვა მხატვრული და სამეცნიერო ლიტერატურით. გაწეული რეკომენდაციების შედეგად ბიბლიოთეკაში განთავსდა ყველა საგნის გრიფირებული სახელმძღვანელოების თითო ეგზემპლარი, დამხმარე და მხატვრული ლიტერატურა, ილუსტრირებული მასალები, დამხმარე სახელმძღვანელოები, პერიოდიკა და ა.შ. სკოლა ყოველკვირეულად ახორციელებს გაზეთი ,,ახალი განათლების'' შესყიდვას, რომლის საშუალებითაც პედაგოგები და მოსწავლეები ეცნობიან განათლების სისტემაში მიმდინარე სიახლეებსა და სხვა მნიშვნელოვან საკითხებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• საინვენტარო წიგნში გატარებული წიგნადი ფონდი; • სასაქონლო ზედნადებები; • ხელშეკრულებები; • მიღება-ჩაბარების აქტები • გასაუბრება • დისტანციურად ვიზუალური დათვალიერება
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

2.4 სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლაში შესასვლელ კიბეებზე დამაგრებულია პანდუსი, რაც შშმ მოსწავლეს აძლევს შენობაში შესვლისა და გადაადგილების შესაძლებლობას. სკოლა ერთსართულიანი. სკოლის ეზოში განთავსებულია შშშმ მოსწავლეთათვის ადაპტირებული სველი წერტილი. სკოლაში ფუნქციონირებს რესურსოთახი, რომელიც მორგებულია სსსმ მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებსა და შესაძლებლობებზე. სკოლაში ამჟამად 6 სსსმ მოსწავლე სწავლობს, შესაბამისად, სკოლას ჰყავს 1 სპეციალური პედაგოგი, რომელიც ინდივიდუალურად მუშაობს თითოეულ სსსმ მოსწავლესთან და ეხმარება მათ საკუთარი შესაძლებლობების რეალიზებაში
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• გასაუბრება • დისტანციურად ვიზუალური დათვალიერება
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

2.5 სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის, ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი კომპიუტერები. ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლაში მოწყობილია კომპიუტერული ლაბორატორია, რომელიც ჩართულია ინტერნეტის ქსელში. ასევე სკოლაში ხელმისაწვდომია უკაბელო ინტერნეტი Wi-Fi საშუალებით. სკოლაში არის სულ 13 კომპიუტერი, მათ შორის 6 პერსონალური, 5 ლეპტოპი და 2 ბუკი. ყველა საკლასო ოთახს აქვს წვდომა ინტერნეტთან. სკოლაში ამჟამად 110 მოსწავლეა, 220 მოსწავლემდე სკოლის კონტიგენტის გაზრდის შემთხვევაში, სკოლამ წარმოადგინა თუ როგორ უზრუნველყოფს იგი საინფორამაციო ტექნოლოგიებით სასწავლო მიზნების მიღწევას. სკოლას, აქვს ელექტრონული ფოსტა და საკუთარი ფეისბუქგვერდი. სკოლას არ აქვს ვებ გვერდი, თუმცა სკოლის სამოქმედო გეგმაში მითითებულია რომ მიმდინარე წელს სკოლა გეგმავს ვებ-გვერდის შექმნას, რომელსაც ექნება როგორც საინფორმაციო ასევე საკომუნიკაციო დატვირთვა. გასაუბრების დროს, აღნიშნული ინფორმაციას ადასტურებს სკოლის ადმინისტრაცია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• დისტანციურად ვიზუალური დათვალიერება. • სკოლის ელექტრონული ფოსტა PataraKanda@mes.gov.ge • სკოლის მიერ შეძენილი ტექნიკის დამადასტურებელი ხელშეკრულებები, სასაქონლო ზედნადებები და მიღება-ჩაბარების აქტები. • გასაუბრება
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

2.6 სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:	
ა)ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლაში დირექტორის ბრძანებით შექმნილია საგანგებო შტაბი, რომელსაც ევალება დაიცვას სკოლაში თანამშრომელთა და მოსწავლეთა უსაფრთხოება. ასევე დირექტორის ბრძანებით არის განსაზღვრული სახანძრო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი. სკოლაში საევაკუაციო გეგმის შესაბამისად, დამონტაჟებულია 8 ცეცხლმაქრი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• დირექტორის ბრძანებასაგანგებო შტაბის შექმნის შესახებ • დისტანციურად ვიზუალური დათვალიერება. • გასაუბრება
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**
ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შესაბამისი ორგნოს მიერ შემუშავებულია სკოლის შენობის ევაკუაციის გეგმა, რომელიც გამოკრულია თვალსაჩინო ადგილას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• საევაკუაციო გეგმა • დისტანციურად ვიზუალური დათვალიერება. • გასაუბრება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**
გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას აქვს სამედიცინო დახმარების აღმოჩენისთვის განკუთვნილი სივრცე. ოთახში განთავსებულ კარადაში არის პირველადი დახმარების აღმოჩენისთვის საჭირო მედიკამენტები. განსაკუთრებული შემთხვევებისთვის კი სკოლის მიერ განსაზღვრული სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზი შემდეგში მდგომარეობს: სკოლა უკავშირდება საგანგებო სიტუაციების სამსახურს 112-ს და იძახებს სასწარაფო დახმარებას, რომელიც დაშავებულს აღმოუჩენს პირველად სამედიცინო დახმარებას. სკოლას არ ჰყავს ექიმი/ექთანი, თუმცა წარმოადგინა დოკუმენტი, რომლითაც ითხოვს აღნიშნული შტატის დაშვებას. დასკვნის პროექტის წარდგენის შემდეგ სკოლამ წარმოადგინა ფოტო-მასალა და მიღება ჩაბარების აქტები, რაც ასახავს სკოლაში მოწყობილ სამედიცინო კაბინეტს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• დისტანციურად ვიზუალური დათვალიერება. • გასაუბრება
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**
დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 იანვრის N06/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობებს“ საკანონმდებლო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი ჰყავს მრჩეველთა საბჭო. სკოლა წესრიგის დაცვის მიზნით, პრევენციისათვის პერიოდულად ორგანიზებას უწევს საგანმანათლებლო-საინფორმაციო კამპანიას მოსწავლეებისთვის და მშობლებისათვის. სკოლას ჰყავს 2 დარაჯი რომელიც სასწავლო პროცესის შემდგომ პერიოდში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	უზრუნველყოფენ სკოლაში გარეშე პირების გადაადგილების კონტროლს. სკოლას, ასევე, ჰყავს უფლებამოსილი პირი, რომელიც უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე უსაფრთხოების დაცვას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• დირექტორის ბრძანება ,,მრჩეველთა საბჭოს შექმნის შესახებ“ და უფლებამოსილი პირის განსაზღვრის შესახებ; • დარაჯთან გაფორმებული ხელშეკრულებები.
შეფასება:	**☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** **☐ ქვესტანდარტი დარღვეულია**
ე) კერძო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის – უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს და რომელიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლაში დამონტაჟებულია უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს. გარე პერიმეტრის გასაკონტროლებლად დამონტაჟებულია 11 ვიდეო კამერა, რომელიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს. შიდა პერიმეტრის გასაკონტროლებლად დამონტაჟებულია 4 ვიდეო კამერა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• მიღება-ჩაბარების აქტები; • შესყიდვების ხელშეკრულებები. • დისტანციურად ვიზუალური დათვალიერება. • გასაუბრება
შეფასება:	**☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** **☐ ქვესტანდარტი დარღვეულია**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

2.7 სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	საჯარო სკოლის წესდებას წარმოადგენს საქათველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N448 ბრძანება ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ''. სკოლას შემუშავებული აქვს დებულება და შინაგანაწესი, რომელშიც მოცემულია: ა) სამუშაო კვირის ხანგრძლივობა, ყოველდღიური სამუშაოს დაწყებისა და დამთავრების დრო; ბ) დასვენების ხანგრძლივობა; გ) შრომის ანაზღაურების გაცემის დრო და წესი; დ) ანაზღაურებადი შვებულების ხანგრძლივობა და მიცემის წესი; ე) ანაზღაურების გარეშე შვებულების ხანგრძლივობა და მიცემის წესი; ვ) შრომის პირობების დაცვის წესები; ზ) წახალისებისა და პასუხისმგებლობის სახე და გამოყენების წესი; თ) მატერიალური პასუხისმგებლობა; ი) განცხადების/საჩივრის განხილვის წესი; კ) სასწავლო პროცესის მარეგულირებელი ზოგადი ნორმები; ლ) სკოლაში ჩაცმულობის წესი. სკოლის მარეგულირებელ დოკუმენტებში (სასკოლო გეგმა, შინაგანაწესი და სხვა) ცვლილების წესი არსად არ არის განსაზღვრული.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N448 ბრძანება ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ''; • სსიპ - მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ პატარა ქანდის საჯარო სკოლის შინაგანაწესი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

2.8 შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის განვითარებისათვის შექმნილი აქვს 2021-2027 წწ ექვსწლიანი სტრატეგიული და ერთწლიანი 2021/22 წ სამოქმედო გეგმა. სტრატეგიულ გეგმაში აღწერილია განსახორციელებელი ამოცანები და განხორციელების გზები: სწავლება/სწავლის ხარისხის ამაღლება, მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლების ხელშეწყობა, უსაფრთხო, ჯანსაღი და ორგანიზებული გარემოს შექმნა, სადამრიგებლო პროგრამების განხორციელების ხელშეწყობა, საგნობრივი კათედრების ფუნქციონირების ხელშეწყობა, პედაგოგთა პროფესიული განვითარება. მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება: სკოლის კომპიუტერიზაცია, ვებ-გვერდის შექმნა, სკოლის ტექნიკურად აღჭურვის ხელშეწყობა, სკოლის ბიბლიოთეკის ეფექტური ფუნქციონერების ხელშეწყობა; სკოლის მართვა და გადაწყვეტილებები: სკოლის საკანონმდებლო ბაზის დახვეწა, სკოლის ფინანსური მართვა და კონტროლი, სკოლის პარტნიორული ურთიერთობების ხელშეწყობა. ერთწლიან გეგმაში თვეების მიხედვით გაწერილია წლის განმავლობაში განსახორციელებელი ღონისძიებები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სსიპ - მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ პატარა ქანდის საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს ოქმი; • ერთწლიანი და ექვსწლიანი სამოქმედო გეგმები. • გასაუბრება
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

2.9 დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლა აწარმოებს შემოსული და გასული დოკუმენტაციის რეგისტრაციას ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის (e-flow) მეშვეობით. სკოლაში შიდა დოკუმენტაციის აღრიცხვის მიზნით იწარმოება საკადრო და საერთო სარეგისტრაციო ჟურნალები. საკადრო ჟურნალში ტარდება დასაქმებულთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები, რომლებიც ფორმდება დირექტორის ბრძანებით, ხოლო საერთო ბრძანებებში აღირიცხება მოსწავლეთა მოძრაობა (ჩარიცხვა-ამორიცხვა, მობილობა და სხვა სახის გადაწყვეტილებები). ჟურნალები აკინძულია, ზონარგაყრილია, დანომრილია, დალუქულია და დამოწმებულია სკოლის ბეჭდითა და დირექტორის ხელმოწერით. სკოლაში, ასევე, წარმოებს შრომითი ხელშეკრულებების რეგისტრაციის ჟურნალი რომელიც არ იყო გადანომრილი. ვიზიტის პერიოდში აღნიშნული ხარვეზი გამოსწორდა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• საერთო და საკადრო ბრძანებების სარეგისტრაციო ჟურნალი; • ხელშეკრულებების სარეგისტრაციო ჟურნალი. • დისტანციურად ვიზუალური დათვალიერება. • გასაუბრება
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

რეკომენდაციები:	• სკოლის შენობის 500კვ.მ არის მის მფლობელობაში, რაც დასტურდება საჯარო რეესტრის ამონაწერით. იჯარის ხელშეკრულების თანახმად, კი 6 წლის ვადით მიშენებული ფართი, უსასყიდლო გადაცემული აქვს სკოლას, ანუ სკოლის მთლიანი ფართის მფლობელობა არ დასტურდება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ. მდგრადობის მიზნით, <u>სასურველია სრული ფართი გადავიდეს სკოლის მფლობელობაში.</u> • სასურველია სკოლამ დროულად შეიტანოს 220 მოსწავლისთვის განკუთვნილი დამატებითი ინვენტარი, რასთან დაკავშირებითაც არსებობს სანდო დოკუმენტაცია. • სკოლამ დროულად უზრუნველყოს ვებ-გვერდის შექმნა, რომელსაც ექნება როგორც საინფორმაციო ასევე საკომუნიკაცია ფუნქცია.
რჩევები:	გარე სპორტული მოედანი სასურველია დაიფაროს ხელოვნური საფარით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

ხარვეზები:	სტანდარტი- მატერიალური რესურსების ნაწილში ხარვეზი არ გამოვლენილა.
სტანდარტის შეფასება	მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☒ **სტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **სტანდარტი დარღვეულია**

3. ადამიანური რესურსი

3.1 სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის თანამდებობრივი სტრუქტურა შედგება: სკოლის დირექციის, ადმინისტრაციის, ტექნიკური პერსონალისა და მასწავლებლებისაგან. დასაქმებულთა უფლება-მოვალეობები და ვალდებულებები განისაზღვრება სსიპ - მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ პატარა ქანდის საჯარო სკოლასა და დასაქმებულს შორის გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებისა და შინაგანაწესის მიხედვით. გარდა ამისა, მასწავლებლის უფლება - მოვალეობები განისაზღვრება მასწავლებლის პროფსიული ეთიკის კოდექსის შესაბამისად. სკოლის დირექცია შედგება დირექტორის და ბუღალტრისაგან. სკოლის ადმინისტრაცია წარმოდგენილია საქმისმწარმოებელის სახით, სპეციალური მასწავლებლისაგან, ხოლო ტექნიკური პერსონალი შედგება 2 დარაჯის და 2 დამლაგებლისაგან.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• შრომითი ხელშეკრულებები, • შინაგანაწესი • მასწავლებლის პროფსიული ეთიკის კოდექსი.
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ინფორმაცია მასწავლებელთა შესახებ	
პედაგოგთა საერთო რაოდენობა	16
მაძიებელი	3
პრაქტიკოსი მასწავლებლის სტატუსის მქონე	0
უფროსი მასწავლებლის სტატუსის მქონე	7
წამყვანი მასწავლებლის სტატუსის მქონე	5
უსტატუსო მასწავლებელი(ვაკანსიის შევსებამდე)	1

3.2 სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის მასწავლებელების შერჩევისას გათვალისწინებულია ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნები. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მ ინისტრის 20აგვისტოსN174/ნ ბრძანებით დამტკიცებული"მასწავლებ ლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის" შესაბამისად, სკოლაში თანამშრომლის მიღება ხორციელდება **შიდა და ღია კონკურსის** საფუძველზე. განცხადება **შიდა კონკურსის შესახებ** ქვეყნდება სკოლაში ყველასთვის ხელმისწავდომ ადგილას, ხოლო **ღია კონკურსის შესახებ** - საჯაროდ, ვებგვერდზე: www.pedagogi.ge/teachersjobs.ge. **კონკურსის ეტაპებია:** ✓ საკვალიფიკაციო მოთხოვნების მიხედვით მიღებული განაცხადე ბების გადარჩევა; ✓ გასაუბრება; ✓ კონკურსის შედეგების განსაზღვრა; გადაწყვეტილებას იღებს დირექტორის ბრძანებით შექმნილი საკონკურსო კომისია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	კანდიდატების შეფასების შემდეგ, კომისია შესაბამის რეკომენდაციას წარუდგენს სკოლის დირექტორს, რომელიც უფორმებს მასწავლებელს შრომით ხელშეკრულებას, კანონმდებლობით განსაზღვრული წესით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• შიდა და ღია კონკურსის გამოცხადების დამადასტურებელი დოკუმენტაცია: • საკონკურსო კომისის შექმნის შესახებ ბრძანება; • საკონკურსო კომისიის ოქმი; • teachersjobs.ge.
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

3.3 სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა, მიღების, გათავისუფლებისა და წახალისების გამჭვირვალე სისტემა, რაც ასახულია სკოლის შინაგანაწესსა და შრომით ხელშეკრულებებში და შეესაბამება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• შინაგანაწესი; • შრომითი ხელშეკრულებები.
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

3.4 მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლამ წარმოადგინა პედაგოგებსა და დასაქმებულ პერსონალთან 2020 წლის 15 სექტემბერს გაფორმებული, დანომრილი და ხელშეკრულების ჟურნალში გატარებული შრომითი ხელშეკრულებები. ხელშეკრულება მოიცავს შემდეგი სახის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	ინფორმაციას: მუხლი 1. ზოგადი დებულებები; მუხლი 2.ხელშეკრულების საგანი; მუხლი 3. ხელშეკრულების მხარეთა უფლებები და მოვალეობები; მუხლი 4. შვებულების ხანგრძლივობა და მიცემის წესი; მუხლი 5. სამუშაო ადგილი, სამუშო დრო და დასვენების დრო; მუხლი 6. შრომის ანაზღაურების ოდენობა და გაცემის წესი; მუხლი 7. ზეგანაკვეთური სამუშოს ანაზღაურების წესი; მუხლი 8. მხარეთა პასუხისმგებლობის წესი; მუხლი 9. შრომითი ურთიერთობის ვადა და შეწყვეტის წესი; მუხლი 10. პერსონალური მონაცემების დამუშავება , გამოყენება, გავრცელება; მუხლი 11. სხვა პირობები; მუხლი 12. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერა. ხელშეკრულების გატარების ჟურნალის გვერდები არ იყო გადანომრილი, აღნიშნული ხარვეზი ვიზიტის პერიოდშივე გამოსწორდა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• მასწავლებლებთან გაფორმებული ხელშეკრულობები; • ადმინისტრაცია/დირექციასთან გაფორმებული ხელშეკრულება.
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

3.5 სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას მარეგულირებელ დოკუმენტებში, სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებში გაწერილი აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის ვალდებულება. ამავდროულად 2021 წლის 18 თებერვლის სამეურვეო საბჭოს სხდომაზე განხილული და მოწონებულია ადამიანური რესურსის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი. დოკუმენტის მიხედვით სკოლაში დასაქმებულ პირთა შეფასებისა და მათი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	შემდგომი მოტივაციისთვის დაინერგება გამჭირვალე და ობიექტური შეფასების სისტემა (მონიტორინგი, კათედრის წევრების ურთიერთდასწრება, შეფასების სისტემის ერთობლივად შემუშავება). სკოლა 2021 წლის თებერვლიდან ჩართულია პროექტ ,, ახალი სკოლის მოდელში“ . მასწავლებლები დარეგისტრირებული არიან პროფესიული და კარიერული განვითარების მიზნით დაგეგმილ ტრენინგებზე. სკოლაში ხარისხის განვითარებისა და მხარდაჭერის ჯგუფი გაკვეთილებს ესწრება, აფასებს და რეკომენდაციას აძლევს მასწავლებლებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ადამიანური რესურსის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი • ინტერვიუირება.
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

3.6 სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო. სკოლის შინაგანაწესში გაწერილია სკოლაში დასაქმებული სხვადასხვა თანამდებობის პირთა უფლება–მოვალეობები, რომლის მიხედვითაც ხდება სასკოლო საზოგადოების ყველა წევრის შესაძლებლობათა გამოვლენის ხელშეწყობა. სასკოლო საზოგადოებაში პასუხისმგებლობები გადანაწილებულია. მშობლებთან ინტერვიურებისას აღმოჩნდა, რომ სკოლის ერთ-ერთი ძლიერი მხარე უსაფრთხო და თანამშრომლობითი გარემოა. ასევე, მოსწავლეები ხაზს უსვამენ სკოლის მიერ მოსწავლეთა მიმართ ტოლერანტულ დამოკიდებულებას: ყველა მოსწავლის პიროვნული ღირსების მაქსიმალურ გამოვლენასა და მათი ძლიერი მხარეების აღიარებას. მოსწავლეებთან საუბრისას გამოიკვეთა, რომ მათთვის ძალიან მნიშვნელოვანია მასწავლებლების თბილი და თანამშრომლობითი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	დამოკიდებულება. სკოლაში მოქმედებს არჩევითი ორგანოები, მათ შორის მოსწავლეთა თვითმმართველობა. სკოლის მოსწავლეებმა, პედაგოგებმა და მოსწავლეთა მშობლებმა ინტერვიუირებისას განმარტეს, რომ კეთილგანწყობისა, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო არის სკოლის ერთ-ერთი ძლიერი მხარე, რაც სხვა სკოლებისგან მას გამოარჩევს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერება; • სკოლის შინაგანაწესი; • ინტერვიურება.
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

რეკომენდაციები:	• სასურველია სკოლის e-school -ის ბაზაში არ ფიქსირდებოდეს სკოლიდან გასული პედაგოგები • სასურველია საშუალო საფეხურის დამატების შემთხვევაში სკოლას დაემატოს შტატი დირექტორის მოადგილე სასწავლო დარგში- სწავლა-სწავლების პროცესის ეფექტურად წარმართვის მიზნით.
რჩევები:	
ხარვეზები:	სტანდარტში-ადამიანური რესურსი ხარვეზი არ დაფიქსირებულა
სტანდარტის შეფასება	☒ **სტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **სტანდარტი დარღვეულია**

XI. თანდართული დოკუმენტაცია
დღის წესრიგი

დღის წესრიგი

თბილისი 7. 07. 2021
გვერდების რაოდენობა 40

40

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.